ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-06

ქ. თბილისი

17 იანვარი, 2013 წ.

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი წარმომადგენლის, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ შპს „ლაბ დისტრიბუცია", მისი დირექტორის ჯაბა თვაურის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანია, ევროკავშირის (წარმოდგენილი საქართველოში ევროკომისიის სახით) გრანტის პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმართველობებში" ფარგლებში, კომპიუტერული მოწყობილობების და მარაგის და საქსელო მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვა (CPV-30200000; CPV-32420000), საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის #2250 განკარგულების, 2011 წლის 07 დეკემბრის ევროკავშირსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების დანართი #4-ში გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურების (შესყიდვა ბენეფიციარების მიერ გრანტის ფარგლებში ევროპული საბჭოს საგარეო ქმედებების კონტექსტში) ერთი ტენდერის საშუალებით (მუხლი 5);

2.2 ხელშეკრულების ობიექტია ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა და საქსელო მოწყობილობა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 11291,70 (თერთმეტი ათას ორასოთხმოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს (იხ. ხელშეკრულების დანართი #1);

3.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რისი გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს (გარდა დღგ–სი).

3.3 შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს დღგ-ს, პროექტი სარგებლობს დღგ-სგან გათავისუფლებით ჩათვლის უფლებით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბაჩა ხოფერია, პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ იურისტი დავით ზარდიაშვილი, ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მანანა ბასილაშვილი, ხოლო

ხელშეკრულების პირობების შესრულებას ინსპექტირებას გაუწევს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ნათია ხუჯაძე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და პირობები

6.1 საქონლის მიწოდების ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 367ა.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.3 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

6.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ხელშეკრულების დანართი #1-ის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღისა, ხოლო მე–3 და მე-4 პუნქტის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინეული საქონლის მიწოდებისას მხარეები ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტების გათვალისწინებით ადგენენ მიღება–ჩაბარების აქტს.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად. საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება საქონლის მიწოდებით და მხარეებს შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

9. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

2. ანგარიშსწორების ვადა - მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 დღე.

10. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

11.2 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

11.3 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.5 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

11.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

13.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა
სახელმწიფო ხაზინა
BIC კოდი: TRESGE22
ა/ა 200122900
ს/კ 202307404

სააგენტოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნინო ინწკირველი

მიმწოდებელი:
შპს „ლაბ დისტრიბუცია“
ქ. თბილისი,
ზაზიშვილი I შეს. #1
ს.ს. „ბაზის ბანკი“
BIC კოდი: CBASGE22
ა/ა: GE04BS0000000022236953
ს/კ: 200253705

შპს „ლაბ დისტრიბუცია“–ს
დირექტორი

ჯაბა თვაური

დანართი #1

რიგითი ნომერი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი, დღგ–ს გარეშე	სულ ფასი, დღგ გარეშე	საგარანტიო პერიოდი
1	ქსელის მარშრუტიზატორი	Cisco 881 Ethernet Sec Router (CISCO881-SEC-K9)	6	797.00	4,782.00	1 წელი
2	ქსელის სვიჩი	Cisco WS-C2960-24TC-S Catalyst 2960 24-Port 10/100	5	675.00	3,375.00	1 წელი
3	USB Connectors	4 ports usb hub/Logilink USB 2.0 4-Port hub illuminated	9	9.30	83.70	3 თვე
4	უწყვეტი კვების წყარო	UPS - APC BACK-UPS CS 650VA 230V ASEAN BK650-AS	27	113.00	3,051.00	1 წელი
5	ჯამი	X	X	X	11,291.70	X

შპს "ლაბ დისტრიბუცია"

ჯ. თვალაძე

LAB DISTRIBUTION